PDF Eraser Free

დანართი№1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ -კოლეჯ ფაზისის საგანმანათლებლო პროგრამების „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“და „სასტუმრო მომსახურების“ მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი

წევრები:

დავით კუპატაძე

ნინო მოწყობილი

{თბილისი, 2020}

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-კოლეჯი „ფაზისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ[1]

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	30	20	
სასტუმრო მომსახურება	15 (მათ შორის 15 ინტეგრირებული)	14	

[1]აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულია კოლეჯის მიერ დისტანციური ჩართვის დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 6 მარტის №427225 და 2020 წლის 2 აგვისტოს N 653443 ოქმი), სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 18 ნოემბრის N1105399 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრები დავით კუპატაძე და ნინო მოწყობილი) დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ-კოლეჯ "ფაზისის" საგანმანათლებლო პროგრამების „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და „სასტუმრო მომსახურება"(რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების და წინა ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შემოწმება.

მონიტორინგის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინების შემოწმების მიზნით დაწესებულებამ გადმოგზავნა მატერიალური რესურსის შეყიდვის დოკუმენტაცია, 2.2 კომპონენტის გადამოწმების მიზნით დამატებით გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები, პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, ასევე დამატებით იქნა გამოთხოვილი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმ ტექნიკური აღჭურვილობისათვის რომლებიც ექსპერტებმა ვერ დავაფიქსირეთ გადმოგზავნილ მიღება-ჩაბარების აქტებში).

2020 წ. 2 ნოემბერს განხორციელდა დისტანციური ჩართვა კოლეჯთან. მონიტორინგის განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში („შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და „სასტუმრო მომსახურება"(რომელშიც ინტეგრირებული იყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები პროგრამების დამატება) მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე ზემო აღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამები არის უკვე ,,სრული შესაბამისი".

„სასტუმრო მომსახურების" საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა მატერიალური რესურსისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით მოთხოვნილი იყო გადამოწმებულიყო ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლად შერჩეული პირების სამუშაო პროცესი, მათი კვალიფიკაცია და უნარები.
დოკუმენტაციის გადამოწმებისას და დისტანციური ჩართვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აღნიშნულ საკითხს, დარგის ექსპერტის მიერ ინტერვიურებისას აქცენტი გაკეთდა განვლილი მოდულების განხორციელების სპეციფიკაზე და განხორციელებისას ჩატარებულ სამუშაო პროცესზე, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ მუდმივი კონტაქტი აქვს ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებლებთან, რომლებიც სწავლების პროცესში სისტემატიურად ცდილობენ პოფესიულ სტუდენტებს მასალა მიაწოდონ ისე რომ კავშირში იყოს საგანმანათლებლო პროგრამასთან.
ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებლებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სამ ეტაპად გაიარეს ტრენინგები მეთოდოლოგიისა და შეფასების მიმართულებით, ასევე დაწესებულების მიერ ხორციელდება ინდივიდუალური დახმარებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

სტანდარტი 2 - შესაბამისობის რეკომენდაცია

კომპონენტი 2.2.1. (1) რეკომენდაცია გაცემულია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე არ დახვდა საჭირო მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოლეჯს გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერი (დაწყების სავარაუდო თარიღი: 29.06.2020, დასრულების სავარაუდო თარიღი: 30.09.2020) საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და უსაფრთხოების საშუალებების შესყიდვის განხორციელების მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა-**შესრულებულია.**

<u>დაწესებულებამ წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები, რითაც დასტურდება დაწესებულების მიერ პროგრამებით გათვალისწინებული ძირითადი ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფა.</u>

კომპონენტი 2.2.1. (1) რეკომენდაცია გაცემულია „სასტუმრო მომსახურება" საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მატერიალური რესურსი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, თუმცა სასწავლო რესურსის დანაკლისის შესყიდვაზე გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით რესურსის მიწოდების ვადად დასახელებულია 2020 წლის 31 მარტი რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა-**შესრულებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>დაწესებულებამ წარმოადგინა „სასტუმრო მომსახურება" საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები , რითაც დასტურდება დაწესებულების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფა.</u>

კომპონენტი 2.2.1. (3) . რეკომენდაცია გაუმჯობესების მიზნით გაცემულია „სასტუმრო მომსახურება" საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ კანდიდატებს, გააზრებული აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების მიზნები, აქვთ გამოცდილება შესაბამისი საგნის სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, გამოთქვამენ მზაობას კოორდინირებულად იმუშაონ დარგის სპეციალისტებთან ერთად. თუმცა, არ იციან მოდულური სწავლების სპეციფიკა. კერძოდ, მოდულის სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერების მნიშვნელობა, შეფასების პრინციპები. სასურველია ამ მიმართულებით ჩაუტარდეთ ტრენინგი-**შესრულებულია**

<u>დაწესებულებამ წარმოადგინა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგის და შეფასება/შეჩევის დოკუმენტაცია. პროფესიულ მასწავლებლებთან დისტანციურად გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდათ ტრენინგები და გაცნობირებული აქვთ მოდულის განხორციელების სპეციფიკა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პრინციპები, ასევე მოდულის სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერების მნიშვნელობა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX.რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	**შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები**
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	**მეხუთე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში /Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology**
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	**0712**
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**ბრძანება N01/38, 27.05.2020**
პროგრამის განხორციელების ენა	**ქართული**
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	**ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54**
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	**მოდულური**
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**30 პროფესიული სტუდენტი მოდულური, ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**120**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**150**

XII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება				
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**			
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება				
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება				

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

საგანმანათლებლო პროგრამით „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ სრულადაა წარმოდგენილი პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები. დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერდა დოკუმენტით წარმოდგენილი აღჭურვილობა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს სრულადა აქვს შესყიდული საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები, რითაც უზრუნველყო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. მოდულის, „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელებისთვის წარმოდგენილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: 1. შპს „მეტალექს-ტრანსი“- მემორანდუმი გაფორმებულია 2020წ. 18 მაისს უვადოდ და 2020 წლის 29 ივნისის შეთანხმების აქტი, სადაც გაწერილია რომ ობიექტი მოემსახურება 20 პროფესიულ სტუდენტს ორ ცვლაში 10-10 პროფესიული სტუდენტი; 2. შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“- მემორანდუმი გაფორმებულია 2020 წლის 18 მაისს უვადოდ, ობიექტი მოემსახურება 10 პროფესიულ სტუდენტს.

დარგის ექსპერტი დაინტერესდა, როგორ განხორციელდებოდა პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიული სტუდენტების დაშვება, ვინაიდან ორივე ობიექტი წარმოადგენს დახურულ დაწესებულებას. კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ ორივე ობიექტთან აქვს თანამშრომლობის გამოცდილება, სხვა პროგრამის შესაბამისი მოდულების განხორციელების ფარგლებში. კერძოდ, მოდულის განხორციელებამდე კოლეჯი წერილობით მიმართავს პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, უგზავნის მას პროფესიულ სტუდენტთა სიას, რის შემდეგაც კოლეჯი პრაქტიკის ობიექტებიდან იღებს პროფესიულ სტუდენტთა განაწილების სიას ცვლების გათავლისწინებით და ახდენს სტუდენტებზე საშვების გაცემას.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სასწავლო გეგმის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი კვირეული დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ აღემატება 40 საათს. ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 5 (ხუთი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 12 (თორმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით, ასევე დისტანციური ჩართვისას განხორციელებული გასაუბრებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით, ასევე მასთან დისტანციურად განხორციელებული გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამაზე ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

   დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა და საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტონული სახით ელ. დისკებზე, ისე მატერიალური სახით, სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

   დაწესებულებაში არსებობს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, თითოეული სსსმ და შშმ პირისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს. სამუშაო ჯგუფში ერთიანდებიან ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ არიან საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები. აგრეთვე შესაძლებელია მშობელის/მშობლების, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრის/წევრების, ფსიქოლოგის (მოწვეული) ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებსაც აქვთ გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები სსსმ პირებისთვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებლის მუხლი 15, პ.2 გაწერილია რომ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსი (სახელმძღვანელოები და პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და დამატებითი ტექნიკური რესურსი შესაბამისი უნდა იყოს სსსმ პირის საჭიროებისთვის.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია პროგრამის ბიუჯეტი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი, ვაუჩერული და პროგრამული დაფინასება, პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება, სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასწავლო გეგმით;
- განმახორციელებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები/სერთიფიკატებით;
- კონკურსის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგებით;
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით;

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ დირექტორის 2018 წლის 3 აგვისტოს N 01/54 ბრძანება; მოდიფიცირება:სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ დირექტორის 2019 წლის 27 ნოემბრის N 01/175 ბრძანებით; ცვლილება: სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ დირექტორის 2020 წლის 02 მარტის N 01/21 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა N 54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	**მოდულური**
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**15** **ქ.ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა N 54** **მოდულური**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	**15**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**146**
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**86**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**176**
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**116**

XII. პროგრამისპროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება				
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**			
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება				
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება				

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.2 საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისრესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

   საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ სრულადაა წარმოდგენილი როგორც პროგრამისთვის საჭირო, ისე ინტეგრირებული ზოგადი განათლების მოდულებისთვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები. დისტანციური ჩართვისას განხორციელდა სასწავლო გარემოს და აღჭურვილობის დათვალიერება. პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის წარმოდგენილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სასტუმროებთან შპს „ვილარეტასა“ და „პარაგრაფთან“, მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ და მოემსახურება 15 პროფესიულ სტუდენტს.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

   საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
   დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სასწავლო გეგმის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სასწავლო გეგმის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი კვირეული დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და შეადგენს 28-35 საათს. ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 (შვიდი), ზოგადი მოდულების განხორციელებაში 3 (სამი) და პროფესიული მოდულების განხორციელებაში 9 (ცხრა) პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით, ასევე დისტანციური ჩართვისას განხორციელებული გასაუბრებით.

დისტანციური ჩართვის დროს დარგის ექსპერტის მიერ ინტერვიურებისას აქცენტი გაკეთდა განვლილი მოდულების განხორციელების სპეციფიკაზე და განხორციელებისას ჩატარებულ სამუშაო პროცესზე, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ მუდმივი კონტაქტი აქვს ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებლებთან, რომლებიც სწავლების პროცესში სისტემატიურად ცდილობენ პოფესიულ სტუდენტებს მასალა მიაწოდონ ისე რომ კავშირში იყოს საგანმანათლებლო პროგრამასთან.

ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებლებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სამ ეტაპად გაიარეს ტრენინგები მეთოდოლოგიისა და შეფასების მიმართულებით, ასევე დაწესებულების მიერ ხორციელდება ინდივიდუალური დახმარებები.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით, ასევე მასთან დისტანციურად განხორციელებული გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამაზე ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა და საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტონული სახით ელ. დისკებზე, ისე მატერიალური სახით, სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებაში არსებობს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, თითოეული სსსმ და შშმ პირისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს. სამუშაო ჯგუფში ერთიანდებიან ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უშუალოდ არიან საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები. აგრეთვე შესაძლებელია მშობელის/მშობლების, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრის/წევრების, ფსიქოლოგის (მოწვეული) ჩართულობა.

კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებსაც აქვთ გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები სსსმ პირებისთვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებლის მუხლი 15, პ.2 გაწერილია რომ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსი (სახელმძღვანელოები და პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და დამატებითი ტექნიკური რესურსი შესაბამისი უნდა იყოს სსსმ პირის საჭიროებისთვის.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია პროგრამის ბიუჯეტი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი, ვაუჩერული და პროგრამული დაფინასება, პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება, სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- სასწავლო გეგმით;
- განმახორციელებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები/სერთიფიკატებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ❖ კონკურსის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ❖ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგებით;
- ❖ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“
- ❖ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი.

14.12.2020წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: